



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 496
04/02/2020

496-09-2-202002041457



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გეგზავნებათ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მომზადებული დაზუსტებული განმარტებითი ბარათი. გთხოვთ განიხილოთ.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ა. სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 169

04/02/2020

169-09-3-202002041413



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის
უფროსს ქალბატონ მაგული კუნჭულიას
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
მოხსენებითი ბარათი

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 15 იანვრის N76 განკარგულების საფუძველზე 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულებაში შესული ცვლილებების საფუძველზე „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3941050 ლარი, თანადაფინანსებაზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან უნდა მიიმართოს 207620 ლარი ანუ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მიიმართება 4148670 ლარი, აქედან ქალაქ ლანჩხუთში საფეხმავლო ბილიკების, გარე განათების და მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი შენობების ფასადების რეაბილიტაციაზე 642025 ლარი, მათ შორის 610000 ლარი ფონდიდან გამოყოფილი, 32025 ლარი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. ქალაქ ლანჩხუთში 10 ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობაზე 1189492 ლარი მათ შორის 1130017 ლარი ფონდიდან გამოყოფილი, 59925 ლარი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. ქალაქ ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაციაზე 254979 ლარი, მათ შორის 242230 ლარი ფონდიდან გამოყოფილი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 12749 ლარი. ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალურ მაგისტრალზე გარე განათების მოწყობაზე 142486 ლარი მათ შორის 135361 ლარი ფონდიდან გამოყოფილი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 7125 ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე 1070556 ლარი, მათ შორის 1016768 ლარი ფონდიდან გამოყოფილი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 53788 ლარი. საფეხბურთო აკადემიის მოედნის განათების და ეზოს კეთილმოწყობაზე 553342 ლარი, მათ შორის 506674 ლარი ფონდიდან გამოყოფილი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 26668 ლარი. ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციაზე 315790 ლარი, მათ შორის ფონდიდან გამოყოფილი 300000 ლარი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 15790 ლარი.

გვიმბალაურის, ღრმაღელის და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ნაშთიდან მიიმართოს 260647 ლარი, მათ შორის ფონდიდან გამოყოფილი 214583 ლარი,

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 46064 ლარი. ქალაქ ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩაზე არსებული სტადიონის რეაბილიტაციაზე ბიუჯეტში არსებული ნაშთიდან მიიმართოს 82653 ლარი, მათ შორის ფონდიდან გამოყოფილი 80653 ლარი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N2010 განკარგულებით განსახორციელებელი პროექტი (მაჩხვარეთის, შუხუთის, ჩიბათის, ნინოშვილის, ჩოჩხათის, ღრმაღელის, აცანის, ლესის, ჯურუყვეთის და ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულებში ნაპირსამაგრის მოწყობაზე ბიუჯეტში არსებული ნაშთიდან მიიმართოს 3001 ლარი. მუნიციპალიტეტის მერიასა და შემსრულებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად გარანტიის სახით დაკავებული თანხების დადგენილი წესით შემსრულებელზე ჩასარიცხად მიიმართოს ბიუჯეტში არსებული ნაშთიდან 35222 ლარი. მათ შორის 2018 წლის 17 აგვისტოს მთავრობის განკარგულებით სტიქიით განსახორციელებელი შიდა გზების რეაბილიტაციაზე 9476 ლარი, სპორტული ობიექტების რეაბილიტაციაზე 2177 ლარი, არსებული ნაშთიდან განათლების ობიექტების რეაბილიტაციაზე მიიმართოს 140180 ლარი.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთიდან თანადაფინანსებაზე მიიმართოს 7160 ლარი.

ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე გაწეული ზედამხედველობის ხარჯი ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთიდან მიიმართოს 60000 ლარი.

კომპიუტერების შეძენის აუცილებლობიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაფინანსება გაიზარდოს 5000 ლარით და მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსება 8000 ლარით. მ/ხარჯები დაფინანსებული იქნეს თავისუფალი ნაშთის ანგარიშზე.

პატივისცემით,

როლანდი ლაშხია



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური